ბრძანება:**ბ132. 1322402212**
თარიღი:**22/01/2024**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა." და ,,ე.ე." ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 119 მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N69 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: სოფ, მლაშეში მე-13 ქუჩა, N35-ში მდებარე 50000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის. უძრავი ქონების ს/კ 71.56.18.1004.

2. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 1221129 (ერთი მილიონ ორას ოცდაერთი ათას ას ოცდაცხრა) ლარი.

3. ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის ,,ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს 125000 (ას ოცდახუთი ათასი) ლარით, ხოლო ,,ბიჯი"-ს ოდენობა 1000 (ათასი) ლარით.

4 აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მოახდინოს მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების სრული დემონტაჟი. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაიხადოს პირგასამტეხლო საპრივატიზებო საფასურის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17.)

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი